

ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა მსოფლიო მწერლობის შედეგები. ბერძულმა ლიტერატურამ განვლო ადმას-ვლებისა და დაქვეითების, ჟანრთა ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი გზა.

რა სახე მიიღო ოცდაათსაუკუნოვანმა ბერძულმა ლიტერატურამ თანამედროვე ეპოქაში, განვითარების რა გზას დაადგა ახალი ბერძული მწერლობა, რა შემოინახა ანტიკურობიდან და რა სიახლეები შესთავაზა მკითხველს - „ნარკვევები ახალბერძულ ლიტერატურაში“ პასუხებს გასცემს ამ და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას.



პროგრამა ცომოსი



ნარკვევები ახალბერძულ ლიტერატურაში

ნარკვევები ახალბერძულ ლიტერატურაში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი



პროგრამა „ლოზოსი“

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



2024
თბილისი

**ΔΟΚΙΜΙΑ ΓΙΑ ΤΗΝ
ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΛΟΓΟΤΕΧΝΙΑ**

**Επιμέλεια: Μήδεια Αμπουλασβίλι, Σοφία Σιαμανίδου,
Άνι Τσικοβάνι**

Δεύτερη, συμπληρωμένη έκδοση

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

რედაქტორები: მედეა აბულაშვილი, სოფიო შამანიდი
ანი ჩიქოვანი

მეორე, შევსებული გამოცემა

წინამდებარე წიგნი გამოიცა კოსტას და ელენი ურანისების ფონდის ხელშეწყობით

Το βιβλίο εκδόθηκε με την συμβολή του Ιδρύματος Κώστα και Ελένης Ουράνη

წიგნი მომზადდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის და საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის (ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის წევრი) თანამშრომლობით

Το βιβλίο είναι προϊόν συνεργασίας του Ινστιτούτου Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών του Κ.Π.Τ. και της Γεωργιανής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών (μέλος της Ευρωπαϊκής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών)

ყდის დიზაინი: **ქეთევან ცინცაძე**

ეჭვფსკლი: **Κετεβάν Τσιντσάτζε**

დაკაბადონება: **ირინე სტროგანოვა**

ISBN 978-9941-98-57-4-4

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ქავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179

ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81

ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

წინამდებარე კრებულის მსგავს გამოცემებს, როგორც წესი, მიძღვნაც აკადემიური ახლავს ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში აკადემიურ წონასწორობას ტკივილმა და მონატრებამ სძლია.

სხვადასხვა თაობის ქართველი ნეოგრეცისტები – მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები – ჩვენი ერთობლივი ნაშრომის ყველა გვერდს, აბზაცს, ხაზს, აზრს, ფიქრს თუ ემოციას

ვუძღვნით **მაკა ქაფუშაქის**

– გამორჩეულ ქართველ ნეოელინისტს, რომელსაც ჩვენთან ერთად ბევრი უნდა ეთქვა თავისი საოცარი ენერჯითა თუ ენერგეტიკით, ნიჭითა და ცოდნით, კვლევებითა და ნაშრომებით... ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით კიდევ უფრო მეტი გვითხრა და გვასწავლა.

წელს 50 წლის გახდებოდა...



სარჩევნი

წინასიტყვაობა.....	9
„დიგენის აკრიტასი“, ელისო ელიზბარაშვილი	12
კრეტული რენესანსი, სოფიო შამანიდი.....	22
ბერძნული ხალხური სიმღერები, მედეა აბულაშვილი	45
ბერძნული განმანათლებლობა, სვეტლანა ბერიკაშვილი, სოფიო შამანიდი.....	59
იანის მაკრიანისი – სახალხო მუზა, თამარ ბაკურაძე.....	72
ბერძნული რომანტიზმი, თეა გამრეკელი, ქეთევან ცინცაძე.....	80
დიონისიოს სოლომოსი, თეა გამრეკელი	95
ყოფითი ჟანრის მოთხრობა, ეკატერინე ლორთქიფანიძე, მედეა აბულაშვილი.....	105
კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა, მაკა ქამუშაძე	141
კონსტანტინოს კავაფისი, თეა გამრეკელი.....	156
ანგელოს სიკელიანოსი, სალომე ჯაფარიძე.....	173
ნიკოს კაზანძაკისი, ზურაბ ვაჩეიშვილი.....	185
ნეორომანტიზმისა და ნეოსიმბოლიზმის ათენური სკოლა, მაია კაკაშვილი.....	207
კოსტას კარიოტაკისი, მაია კაკაშვილი, ქეთევან ცინცაძე.....	228
გიორგოს სეფერიისი, სოფიო შამანიდი.....	240

1930-იანი წლების პროზა, ანი ჩიქოვანი, მედეა მეტრეველი	250
იანის რიცოსი, ანნა ბერიშვილი, სოფიო შამანიდი	306
ბერძნული სიურეალიზმი, მაკა ქამუშაძე, სოფიო შამანიდი	312
მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზა, თეა გაფრინდაშვილი	343
კოსტას ტახცისი, ანინა გოგობია.....	361
მელპო აქსიოტი, თამარ მღებრიშვილი	366
რეა ლალანაკი, სალომე გვენცაძე	373
კოსტას მონტისი, ნანა ტოხვაძე.....	385
თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, ნინო დვალიძე	392
დიმიტრის ნოლასი, ანი ჩიქოვანი	399
1980-1990 წლების ბერძნული პოეზია, ევრიპიდის ლარანტუდისი	415
ქალის ხმა ახალბერძნულ პოეზიაში, მედეა აბულაშვილი.....	424
შესავალი ახალბერძნულ დრამატურგიაში, გეორგია დიმოპულუ.....	438
იაკოვოს კამბანელისი, ქეთევან ცინცაძე, სოფიო შამანიდი.....	447

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნის შედგენისას მისმა ავტორებმა ბევრი იფიქრეს, თუ რა ეპოქიდან უნდა დაეწყოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის განხილვა. საქმე ისაა, რომ დღემდე ლიტერატურათმცოდნეობაში არ არის აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რა ეპოქიდან ემიჯნება ახალი ბერძნული ბიზანტიურ ლიტერატურას და როდიდან იწყებს მისგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად განვითარებას. თუკი ვეროპული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისთვის ცნებას „ახალი“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს და იგი გულისხმობს ლიტერატურას, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება და აღწევს XIX საუკუნის მიწურულამდე ან XX საუკუნის დასაბამამდე, ბერძნული ლიტერატურის შემთხვევაში ამ ტერმინს რამდენადმე განსხვავებული დატვირთვა ენიჭება.

ბერძნული ლიტერატურის ისტორია მოიცავს ძალზე დიდ მონაკვეთს ჰომეროსიდან თანამედროვე მწერლობამდე. აქ ტრადიციულად სამ ძირითად ეტაპს გამოჰყოფენ: ანტიკურს, ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულს. თუკი ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურების განსასხვავებლად მეცნიერებს მეტ-ნაკლებად მყარი არგუმენტები გააჩნიათ, რომლებიც ძირითადად იდეოლოგიურ საფუძველს ეფუძნება, ბევრად უფრო რთულად არის საქმე, როდესაც გვინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბიზანტიური ლიტერატურის უკანასკნელი საუკუნეების და ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველი საუკუნეების ძეგლები, კერძოდ კი განვსაზღვროთ, საიდან იწყება ახალი ბერძნული ლიტერატურა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურის საწყისების მონყვეტა ბიზანტიური ეპოქიდან ყოვლად შეუძლებელია, ხოლო იმის დადგენა, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრივ ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის დამახასიათებლად და რა – ბიზანტიურისთვის, ერთობ საკამათოა. საკმარისია თვალი გადავავლოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებს, რომ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ სირთულეს წარმოადგენს ახალი ბერძნული ლიტერატურის პერიოდიზაცია. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ პირველი ძეგლები ახალი ბერძნული ლიტერატურისა უკვე X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში დასტურდება. ზოგნი ამ

თარიღს უკავშირებენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის წელს. მკვლევართა მცირე ჯგუფი თვლის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა, ისე როგორც სხვა ევროპული ლიტერატურები, XIX საუკუნეში, საბერძნეთის მიერ თავისუფლების მოპოვების შემდგომ იწყება.

მკვლევარნი, რომელნიც იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა უკვე ბიზანტიის ფარგლებში, X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ამ ლიტერატურის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად ასახელებენ ლიტერატურაში ახალი ბერძნული ენის დამკვიდრებას, ძველი პროსოდის კანონების უგულვებლყოფას და სილაბურ ლექსზე გადასვლას, გამომსახველობითი ხერხების თავისებურებას, თემატურ განახლებას და ეროვნული, ბერძნული თვითშეგნების წინა პლანზე წამოწევას.

ეს არგუმენტები არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მკვლევართა ნაწილი ყოველივე ამას მიიჩნევს სრულიად ორგანულ მოვლენად ბიზანტიური ლიტერატურისათვის. თუმცა ჩვენ მაინც ამ მეცნიერთა მოსაზრებას გავითვალისწინებთ და ჩვენ ნარკვევებს იმ ტექსტით დავინწყებთ, რომელსაც ნეოგრეცისტები ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველ ძეგლად მიიჩნევენ – ეპოსს დიგენის აკრიტასზე.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო წიგნის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ხშირად ჟანრების განვითარების პრინციპზეა აგებული, ჩვენ მაინც ტრადიციულ მეთოდს მივანიჭეთ უპირატესობა და სახელმძღვანელოს აგებისას გამოვიყენეთ ქრონოლოგიური პრინციპი. შევეცადეთ სრულად მოგვეცვა ახალი ბერძნული ლიტერატურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მკითხველისთვის ყველა მწერლისა თუ პოეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამ ხარვეზის გამოსწორება შემდეგ გამოცემებში იქნება შესაძლებელი. ყოველ თავს ერთვის სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ძირითადი ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც გაუადვილებს სტუდენტებს ამა თუ იმ ავტორზე მასალის მოძიებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ნარკვევების ავტორები არიან ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლები და კურსდამთავრებულები. ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ევრიპიდის ლა-

რანტუდისს, ათენის უნივერსიტეტის პროფესორს და გეორგია დიმოპულუს, პატრის უნივერსიტეტის მკვლევარს, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა სახელმძღვანელოს შედგენაში.

სოფიო შამანიდი

ლიტერატურის ისტორიები*:

- პოლიტისი ლ., *ახალი ბერძნული ლიტერატურის მოკლე ისტორია*, ბიბლიოგრაფია, დანართი, ბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიდმა, თბილისი, 1999.
- Βαλέτας Γ., *Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1966;
- Βουτιερίδης Ηλ. Π., *Σύντομη ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας (1000-1930)*, 3η έκδοση με συμπλήρωμα Δ. Γιάκου (1931-1976), Αθήνα, 1976;
- Δημαράς Κ. Θ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας (από τις πρώτες ρίζες ως την εποχή μας)*, Αθήνα, 1975;
- Καλαματιανός Γ.Ν., *Σύντομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Βιβλιοπωλείον της Εστίας, Αθήνα, 1980;
- Μητσάκης Κ., *Εισαγωγή στη νέα ελληνική λογοτεχνία: πρωτονεοελληνικοί χρόνοι*, Καρδαμίτσα, Αθήνα, 1989;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Ανάλεκτα νεοελληνικής φιλολογίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1995
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η νεοελληνική σύνθεση. Θέματα και κατευθύνσεις της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1999;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Προοπτικές και προσεγγίσεις. Μελέτες νεοελληνικής φιλολογίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1991;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η παρουσία των κειμένων. Ερμηνευτικές και ιστορικές αναγνώσεις έργων της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Καστανιώτης, Αθήνα, 2002;
- Πολίτης Α., *Εγχειρίδιο του Νεοελληνιστή. Βιβλιογραφίες, λεξικά, εγχειρίδια, κατάλογοι, ευρετήρια, χρονολόγια κ.ά.*, Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης, Ηράκλειο, 2002;
- Πολίτης Λ., *Συνοπτική Ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας*. Βιβλιογραφία, Επίμετρο, Θεσσαλονίκη, 1977;
- Πολίτης Λ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 1985;
- Τσακόνας Δ., *Επίτομη ιστορία της Νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1999;
- Beaton R., *Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία*, μτφρ.: Ε. Ζούργου – Μ. Σπανάκη, Νεφέλη, Αθήνα, 1996;
- Vitti M., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Οδυσσεάς, Αθήνα, 1978.

* ბიბლიოგრაფია გადმოტანილია ბერძნული ვებ-გვერდიდან: www.philology.gr.

სოფიო შამანიდი

გიორგოს სეფერიისი

„ვწერ და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვენებს ვიჭრი“, „...ყოველი ნაწერი ჩემთვის დანაშაულის აღიარების მსგავსია“, „ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ყოველი ფრაზა, რომელსაც ვწერ, ჩემთვის უკანასკნელია“, „არ ვაჭარბებ, მუშაობა სისხლის ფასად მიჯდება“ – სეფერიისი მიერ გამოთქმული ან დაწერილი კიდევ ბევრი ამგვარი ფრაზის მოხმობაა შესაძლებელი. საბერძნეთის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე და მსოფლიოში აღიარებული პოეტისთვის მისი შემოქმედებითი პროცესი გაუთავებელი ძიებების, მუდმივი ორჭოფობის, დაუკმაყოფილებლობის მიზეზი იყო. იგი მუზის მხოლოდ მასპინძლობით არასდროს კმაყოფილდებოდა. თითოეულ ლექსზე, თითოეულ სიტყვაზე გაუთავებლად მუშაობდა და დიდი ყოყმანის შემდეგ გამოჰქონდა თავისი ქმნილებანი მკითხველის სამსჯავროზე. ალბათ, სწორედ ამიტომ, მისი პოეტური მემკვიდრეობა არ გამოირჩევა განსაკუთრებული მოცულობით. მისი ლექსების კანონიკური გამოცემა მხოლოდ ერთ ტომს შეადგენს. სეფერიისის პოეზიის მცირე მოცულობას ხელი არ შეუშლია პოეტისთვის საქვეყნოდ ცნობილი გამხდარიყო და 1963 წელს პოეზიაში შეტანილი წვლილისათვის მას ნობელის პრემია მიენიჭა, რაც, არსებითად, იმის აღიარება იყო, რომ იგი არის ბერძენი და, ამასთანავე, მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, რომ (სეფერიისის სიტყვებს რომ მოვუხმობთ) „პერიფერიულ ენაზეც“ შეიძლება ნამდვილი პოეზიის შექმნა, რომელსაც „ძალუძს ჩანვდეს ადამიანის გულს“.

გიორგოს სეფერიისი დაიბადა 1900 წელს ქალაქ სმირნაში (თანამედროვე იზმირი). მისი ოჯახი 1914 წელს საცხოვრებლად ათენში გადადის. რამდენიმე წელიწადში სეფერიისი ტოვებს ათენს და პარიზს მიემგზავრება, სადაც სწავლობს იურიდიულ ფაკულტეტზე. პარიზში მას შესაძლებლობა ეძლევა გაიცნოს იმ ეპოქის გამოჩენილი მწერლები და პოეტები და ეზიაროს მათ შემოქმედებას. მისი საფრანგეთში ყოფნის დროს ბერძენი ერი 1922 წლის დიდი კატასტროფის წინაშე დგება. იწყება ბერძნების მასობრივი გამოდევნა თურქეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, მათ შორის სმირნიდანაც, ხოლო სახლი, რომელშიც ცხოვრობდა პოეტი, ცეცხლმა შთანთქა. პოეტს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება

შეგრძნება იმისა, რომ იგი ლტოლვილია. ამას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ სეფერისი დიპლომატიურ სამსახურში მსახურობს და თითქმის არ უწევს სამშობლოში ყოფნა (1926 წლიდან მოყოლებული იგი მუშაობს საბერძნეთის საელჩოში სულ სხვადასხვა ქალაქში: ლონდონში, ანკარაში, კორინცაში, ქაიროში, და ა.შ.). 1962 წელს სეფერისი თავს ანებებს დიპლომატიურ სამსახურს და ბრუნდება საბერძნეთში. პოეტი 1971 წელს ათენში გარდაიცვალა.

სამწერლობო ასპარეზზე სეფერისი 1931 წელს გამოდის. ეს იყო პერიოდი, როდესაც საბერძნეთში სუფევდა პალამასის პოეზიის სული, ლიტერატურას ჯერ კიდევ აჩნდა პესიმისტი პოეტების (მელაქრინოსი, ურანისი, კარიოტაკისი) შემოქმედების კვალი, ხოლო ალექსანდრიიდან კი სხვა დიდი პოეტის, კავაფისის თვითმყოფადი პოეზია ჟღერდა. სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა სეფერისის ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით „შემობრუნება“, რომელიც მართლაც რომ „შემობრუნებად“, ახალ ეტაპად იქცა ბერძნულ პოეზიაში. ეს იყო ცდა „ახალი პოეზიის“ დამკვიდრებისა საბერძნეთში. პოეტმა თითქმის მთლიანად უარი თქვა გართმულ ლექსზე, მოახერხა გადაელახა რამდენადმე მიღებული პათეტიკური სტილი, რომელიც გამანადგურებლად მოქმედებდა პოეზიაზე.

სეფერისს ვერ მივაკუთვნებთ ვერც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას. მართალია, მის პირველ ლექსებს ემჩნევა სიმბოლიზმის გავლენა, მაგრამ იგი ძალიან მალე გადის ამ მიმართულების ფარგლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის პარიზში ცხოვრების წლებს დაემთხვა სიურეალისტური მიმდინარეობის გაძლიერება, სეფერისი სკეპტიკურად განეწყო ამ მიმართულების მიმართაც და არ გაიზიარა მისი პრინციპები. 1938 წელს თავის „დიალოგში პოეზიის შესახებ“ პოეტი იტყვის, რომ „სიურეალიზმი ადვილი პოეზიაა“.

30-იან წლებში სეფერისი ეცნობა ე. პაუნდისა და თ. ელიოტის შემოქმედებას. იგი ბერძნულ ენაზე თარგმნის ელიოტის „უნაყოფო მიწას“ და მის სხვა ნაწარმოებებს. ელიოტმა დიდი გავლენა მოახდინა სეფერისის, როგორც პოეტის ფორმირებაზე. იგი შემოქმედებითად იმდენად ახლოს არის ინგლისელ მწერალთან, რომ მკვლევარნი მათ „მონათესავე“ პოეტებსაც კი უწოდებენ. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სეფერისისათვის შეექმნა ძალზე ორიგინალური, სრულიად თვითმყოფადი პოეზია, რომელიც XX საუკუნის ევროპული მწერლობის მნიშვნელოვან ფენომენად იქცა.

1935 წელს სეფერისი წერს თავის საპროგრამო ნაწარმოებს „მითის-ტორიმა“, რაც ისევ და ისევ ელიოტის „უნაყოფო მიწის“ გავლენაზე უნდა მიგვანიშნებდეს. „უნაყოფო მიწა“ სეფერისისათვის არის საბერძნეთი, რომლისთვისაც ნაცნობია არა მხოლოდ დიდება და კატასტროფები, აღმავლობა თუ დაქვეითება, არამედ რომლისთვისაც თანამდევია გრძნობა იმისა, რომ ყველაფერი გარდამავალია, რომ ცალკეულ ადამიანთა თუ ზოგადად ცივილიზაციათა არსებობა დროებითია. პესიმიზმი, რომელიც ამ ნაწარმოებში გამოსჭვივის, მეტ-ნაკლებად სეფერისის მთელი შემოქმედების თანმდევი იქნება. თავად სეფერისმა ამ ნაწარმოებს, რომელიც, ჩვენი აზრით, თანამედროვე პოემის ჟანრში შეიძლება მოვაქციოთ, უწოდა „ოდისეა, ოლონდ თავდაყირა“. და მართლაც, ნაწარმოები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან იმპულსებს სწორედ ანტიკურობიდან იღებს. მეცნიერებაში ნაწარმოების სათაურის რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. თავად სეფერისი ამის შესახებ წერს: „ორმა კომპონენტმა ამ სიტყვისა მიბიძგა მომეხდინა ეს არჩევანი: „მითი“, რადგანაც სავსებით აშკარად გამოვიყენე გარკვეული მითოლოგია და „ისტორია“, რადგან შევეცადე გამომეხატა მდგომარეობა, ისევე დამოუკიდებელი ჩემგან, როგორც რომელიღაც რომანის გმირები“. ამდენად, სათაური აერთიანებს ორ მნიშვნელოვან ცნებას – მითოსსა და ისტორიას. მითს, როგორც წარსულის მარადიული სიმბოლოების სამყაროს, ხოლო ისტორიას, როგორც კაცობრიობის მიერ დათმენილ რეალურ მოვლენებს. ელიოტის შემოქმედებაზე მსჯელობისას სეფერისი შემდეგნაირად ახასიათებს ელიოტის დამოკიდებულებას მითისადმი: „ელიოტი შეეცადა მოენახა რაიმე ისეთი, რაც მითის როლს შეასრულებდა მის ეპოქაში და გასაგები იქნებოდა თუნდაც შეზღუდული საზოგადოებისათვის. როდესაც მითი წარმოადგენდა საერთო კუთვნილებას, პოეტის განკარგულებაში იყო ცოცხალ გრძნობათა ატმოსფერო, რომელშიც მას თავისუფლად შეეძლო გადაადგილება და გარშემო ხალხთან კონტაქტში შესვლა... ერთ სიტყვას, მიუხედავად მთქმელის ოსტატობისა, შეეძლო გაეღვიძებინა მათ სულებში შიშიც და იმედიც“. მსგავსი დამოკიდებულება აქვს მითისადმი სეფერისსაც, მაგრამ მისი „მითოლოგია“ არსებითად განსხვავდება ელიოტის „მითოლოგიისაგან“ როგორც შინაარსით, ისე ხასიათით.

პოემა დაყოფილია 24 ნაწილად, რაც მოგვაგონებს ჰომეროსის პოემების 24 სიმღერად დაყოფის ტრადიციას. თემა, რომელიც მთელ პოემას გასდევს, არის მოგზაურობა, რომელშიც მეტად საინტერესოდ არის სინთეზირებული „ოდისეასა“ და „არგონავტიკის“ პათოსი. „ოდისეა“ და

„არგონავტიკა“ უკვე ძველ საბერძნეთში ორგანულად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ორივეს აერთიანებდა ის, რომ მოგზაურობისას მეზღვაურები ნახულობდნენ მრავალს ისეთს, რასაც შეუძლია სული შეგიძრას და სიმხნევე შეგმატოს. რაც მთავარია, როგორც ეს „ოდისეას“ შემთხვევაში ხდება, ისინი უკეთ შეიგრძნობენ, რაოდენ უმნიშვნელოა ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს, იმედსა და სასოწარკვეთილებას შორის. სეფერისის ნაწარმოებში ეს პათოსი მთლიანად არის გადმოტანილი, ოღონდ მოგზაურობა ხდება არა იმდენად გეოგრაფიულ, რამდენადაც ქრონოლოგიურ სივრცეში. სეფერისი ძალზე შორს მიდის ანტიკური ინფორმაციის ათვისების თვალსაზრისით და მას თავისი ნაწარმოების სუბტექსტად იყენებს. თუკი ავიღებთ ზოგადად პომპას, ვნახავთ, რომ მისი მთელი კარკასი სუბტექსტად გულისხმობს ანტიკური ტრაგედიის მოდელს თავისი პროლოგით, ეპისოდონებით და ექსოდოსით. თუმცა სტრუქტურირების თვალსაზრისით იგი გვიჩვენებს მიმართებას ჰომეროსის ეპოსთან, როემლიც, როგორც ცნობილია, 24 სიმღერადაა დაყოფილი.

რაც შეეხება იმ წარმოსახვით და ძალზე პირობით „მოქმედებას“, რომელიც პომეშია გადმოცემული, მის სუბტექსტად ერთი მხრივ, გამოყენებულია „არგონავტიკა“, ხოლო მეორე მხრივ, „ოდისეა“. ჩვენი აზრით, ამ ორი ინფორმაციული წყაროს ურთიერთშეხამებას მასთან აქვს სრულიად გარკვეული გამართლება. „მითისტორიკოს“ წარმოსახვითი ხომალდი და მისი ეკიპაჟი ძალზე მნიშვნელოვანია, ისევე მნიშვნელოვანი, როგორც იყო არგო და მისი ეკიპაჟი. მეორეს მხრივ, ბედი სეფერისის თანამგზავრებისა ყველანაირად ეხმიანება „ოდისეას“, დაწყებული ხომალდების დამსხვრევიდან და კატასტროფებიდან, დამთავრებული ოდისევსის სიმარტოვით.

1940 წელს კრებულში „სავარჯიშო რვეული“ პოეტი თავს მოუყრის იმ ლექსებს, რომლებიც 1940 წლამდე შეუქმნია, მაგრამ რომელთა დაბეჭდვაც მანამდე ვერ გაუბედავს.

იმავე წელს სეფერისი გამოსცემს კრებულს „საგემბანო დღიური I“, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 1944 წელს, კრებულს „საგემბანო დღიური II“. თუკი „მითისტორიკაში“ ძირითადად წარსულში მომხდარი ისტორიული ფაქტებია ასახული, ამ კრებულებში აისახა პოეტის თანამედროვე ისტორია. ორივე კრებულში შემავალი ლექსები II მსოფლიო ომის დროს იქმნება. საგარეო საქმეთა სამინისტროში მომუშავე სეფერისი ახლოდან ადევნებდა თვალს ომის დროს მიმდინარე პროცესებს და მრავალი მათგანის უშუალო მონაწილეც იყო, შესაბამისად, უფრო

მძაფრად აღიქვამდა ყოველივეს, რაც ომის დროს ხდებოდა ზოგადად მსოფლიოში და როგორ აისახებოდა ყოველივე ეს საკუთრივ საბერძნეთზე. მისი ენა ამ პერიოდის ნაწარმოებებში უფრო მარტივია, უფრო გასაგები, ლექსები, „მითისტორიმასთან“ შედარებით, ნაკლებად კოდირებული და ადვილად გასაშიფრი. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ, მართალია, შეფარულად, მაგრამ აქ მაინც პოეტის თანამედროვე კონკრეტული ისტორიული მოვლენებია ასახული.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძნელად აღსაქმელი ნაწარმოები სეფერისის შემოქმედებაში არის „შაშვი“ (1947 წ.), კრებული, რომელიც სამი ნაწილისგან (ან სამი ლექსისგან) – „სახლი ზღვასთან“, „ავხორცი ელპენორი“, „სინათლე“ – შედგება. ლექსის სირთულე პოეტური თვალსაზრისით არაერთხელ აღუნიშნავთ მეცნიერებაში. ამით იყო გამოწვეული ისიც, რომ კრებულის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ სეფერისი თავის წერილში „სცენარი „შაშვისთვის“ შეეცადა თავად აეხსნა შეძლებისდაგვარად ნაწარმოები, თუმცა ამავე წერილში იგი წერს, რომ ლექსის ახსნა შეუძლებელია, „აბსურდულია“, და „ეს ნაცნობია იმისთვის, ვინც იცის, თუ როგორ ქმნის ხელოვანი“. და მართლაც, სეფერისის ამ წერილის გარეშე ჩვენთვის რთული გასაგები იქნებოდა ეს ნაწარმოები. ამის უპირველესი მიზეზი არის ის, რომ ნაწარმოების არც ერთი „პროტაგონისტი“ (თუ არ ჩავთვლით მეორე ლექსის სათაურს) არ არის სახელდებული და ძალიან დიდი ფანტაზია და პოეტური ასოციაციის უნარი არის საჭირო, რომ ლექსში გადმოცემული მოვლენები დავაკავშიროთ იმ წყაროებთან, რომლებმაც მოახდინეს პოეტის შთაგონება. მაგრამ, ამ ნაწარმოების სეფერისისეული ახსნის შემდეგ ნათელი ხდება, რომ „შაშვი“ ინსპირირებულია „ოდისეათი“, კერძოდ კი X, XI და XII სიმღერებით და რომ მისი ერთ-ერთი ძირითადი მოტივი არის XI სიმღერის ნეკიია, ე.წ. „სულთა სამეფო“.

განსაკუთრებით საინტერესოა კრებულის მეორე ნაწილი „ავხორცი ელპენორი“. ჰომეროსის ეპოსის ეს მეორეხარისხოვანი პერსონაჟი სეფერისისთვის ერთობ მნიშვნელოვანია და პოეტი მას თავისი შემოქმედების განმავლობაში არაერთგზის მიუბრუნდება. სწორედ ამ სახის გამოყენებით ეხმიანება ბერძენი პოეტი იმ ეპოქის ევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ტენდენციას ანტი-გმირის შექმნისა. ელპენორის ტიპზე მსჯელობისას სეფერისი ამბობს: „ეს მგრძობიარე, უბრალო ადამიანი ალბათ ყველაზე უფრო ამაღლევებულია ჩემს პერსონაჟებს შორის, რადგან იგი არის სიმბოლო იმ ადამიანებისა, რომ-

ლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ „საცოდავს“ ვუნოდებთ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უვნებელი ადამიანები, მათი სიმართის გამო, ხშირად ცუდის საუკეთესო მატარებელი არიან“. სეფერისი გვთავაზობს ელპენორის სახის საინტერესო ტრანსფორმაციას. შემოქმედების პირველ ეტაპზე სეფერისს ელპენორი აინტერესებს მხოლოდ როგორც „ოდისეას“ გმირი. მაშინაც კი, როდესაც პოეტი ამ სახეს განზოგადებულად წარმოგვიდგენს („მეგობრები ჰადესში“, „არგონავტები“, „სტრატის თალასინოსი აგაპანთებს შორის“), იგი არ ამორებს მას მისთვის ჩვეულ „ოდისეას“ კონტექსტს. აქ აქცენტირებულია ისევ და ისევ ის მომენტები, რომლებიც უკვე ჰომეროსთან არის დაფიქსირებული: სიჭაბუკე, გამოუცდლობა, უგუნურება, უმნიშვნელობა, სურვილი სიკვდილის შემდეგ სახელის უკვდავყოფისა. უფრო გვიანდელ ლექსებში სეფერისი წარმოაჩენს ელპენორის იმ თვისებებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათზე არ არის საუბარი თავად „ოდისეაში“, შეიძლება ჰქონოდა ჰომეროსის გმირს. საცოდავი და თანაგრძნობის აღმძვრელი ელპენორი თანდათანობით ხდება მონესრიგებული, მშვიდი, მუდამ მოტირალი, მომაბეზრებელი, ჩვეულებრივი („მონათხრობი“) და, ამასთანავე, ერთობ აგრესიული, ავ-ხორცი, ქალების მოყვარული ადამიანი („ავხორცი ელპენორი“). სეფერისთან მოხდა ელპენორის, როგორც ტიპის, სრული თვითგამოხატვა იმ ნიშნებით, რომლებიც მას ჰომეროსთან ჰქონდა და იმ ნიშნებითაც, რომლებიც ადამიანთა ამ ტიპს საერთოდ, პოტენციურად, შეიძლება განვითარებოდა.

სეფერისის შემოქმედებაში კრებული „საგემბანო დღიური III“ (1955 წ.) იმით გამოირჩევა, რომ იგი მთლიანად შთაგონებულია პოეტის კვიპროსზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებებით. სეფერისმა პირველად კვიპროსზე 1953 წელს იმოგზაურა, თუმცა იგი ერთ მოგზაურობას არ დასჯერდა და ზედიზედ 1954 და 1955 წლებში ჩავიდა კუნძულზე: „კვიპროსი არის ადგილი, სადაც საოცრებები ჯერ კიდევ ხდება“, დაწერს მოგვიანებით კუნძულით მოხიბლული პოეტი. კრებულს ეპიგრაფად უძღვის ტევკროსის სიტყვები ევრიპიდეს ტრაგედიიდან „ელენე“: „...კვიპროსისაკენ, სადაც მიწინასწარმეტყველეს...“ (148). ამ ეპიგრაფით პოეტმა ლაკონურად, მაგრამ მკაფიოდ მიგვანიშნა იმაზე, თუ რას ნიშნავს კვიპროსი ელინთათვის, ერისათვის, რომელიც აქ აპოლონის მონოდებით დამკვიდრდა. კრებული შედგება 18 ლექსისაგან და მასში ამა თუ იმ კუთხით ასახულია კვიპროსის ლეგენდარული წარსული, მისი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელი და, რასაკვირ-

ველია, კუნძულის აწმყო, რომელიც განსაკუთრებით აღელვებდა ბერძენ პოეტს. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში კვიპროსზე საკმაოდ დაძაბული ვითარება სუფევდა: კუნძული 1914 წლიდან ანექსირებული იყო ინგლისის მიერ, ხოლო 1925 წელს მის კოლონიად გამოცხადდა. II მსოფლიო ომის შემდეგ კუნძულის მოსახლეობას გაუჩნდა იმედი დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ამ მიმართულებით ბრძოლაც გააჩაღა. სწორედ ამ პერიოდში მოგზაურობს სეფერისი კვიპროსზე. უნდა აისახოს თუ არა პოეტის თანამედროვე პოლიტიკური მოვლენები მის შემოქმედებაში? უნდა ჩაე-რიოს თუ არა პოეტი ერის ცხოვრებაში? უნდა ჩაუყენოს თუ არა მან თავისი პოეზია სამსახურში თავის ხალხს? ეს ის კითხვებია, რომელიც სეფერისს კვიპროსზე ყოფნის შემდეგ გაუჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სეფერისი არ იყო პოეტების „გაპოლიტიკანების“ მომხრე, იგი თვლიდა, რომ შემოქმედი ვერ დარჩებოდა გულგრილი თანამედროვე მოვლენების მიმართ, რადგან „თავად შემოქმედის ცხოვრება – მისი შთაბეჭდილებები, მისი გრძნობები, მისი რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე, ანუ ის, რაც მის პოეზიას წარმოადგენს, იმავდროულად არის ნაწილი კაცობრიობისა, რომელიც მას გარს შემოხვევია თავისი დარდით, თავისი ტკივილით, თავისი დიდებითა თუ უფარგისობით“. „დიდი შემოქმედი არ ეკუთვნის თავის ეპოქას, იგი თავად არის ეპოქა“ – ვფიქრობ, ეს ფრაზა ზედმიწევნით მიესადაგება ბერძენ პოეტს. მას არ უცდია თავის პოეზიაში კონკრეტული ფაქტების დაფიქსირება. მან გადმოგვცა ის ტკივილი, რომელიც ამ ფაქტებს ახლდა თან.

ბოლო კრებულის გამოქვეყნებიდან მხოლოდ ათი წლის თავზე გამოსცემს სეფერისი თავის უკანასკნელ ქმნილებას, ლექსების ციკლს „სამი საიდუმლო ლექსი“ (1966 წ.). იგი სამი ნაწილისგან შედგება: „ზამთრის ერთ სხივზე“, „სცენა“ და „ზაფხულის ჰელიოსტატი“. პოეტი, რომლის შემოქმედებასაც მის სიცოცხლეშივე მრავალი მკვლევარი გამოუჩინდა, კიდევ ერთხელ გააკვირვებს თავის მკითხველს. მაშინ, როდესაც მიჩნეული იყო, რომ სეფერისის პოეზიის გასაღები ნაპოვნია და მისი სტილი დადგენილი, „სამი საიდუმლო ლექსით“ პოეტმა ეს მოსაზრება სრულიად გააბათილა, რადგან შესთავაზა მკითხველს სავსებით ახლებური და არანაკლებ რთული, ვიდრე თავისი წინა ქმნილებები, პოეზია. ამ კრებულში სეფერისი ისევ ანტიკურობას უბრუნდება, ოღონდ, „მითისტორიმაგან“ განსხვავებით, აქ პოეტი ძველი ბერძნული ლიტერატურის უფრო ღრმა შრეებში შედის და ანტიკურობიდან ნასესხები სახეები თუ პასაჟები მეტად რთული ამოსაცნობი ხდება.

აქაც სეფერისი დიდ ყურადღებას უთმობს ანტიკურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოქმედებითად ათვისებას. ზოგან ეს ხდება კონკრეტული სახელების, სახეების, სიუჟეტური ელემენტების შემოტანით, ზოგან ციტაციით ან პერიფრაზირებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მინიშნებებით, რომელთა იდენტიფიკაცია არც თუ იშვიათად საკმაოდ რთულია. მისი პრინციპი კლასიკური ტრადიციის ათვისებისა არ არის ორდინალური. მან კლასიკური ტრადიცია „შეითვისა“ და საკუთარი პოეტური შემოქმედების განუყოფელ ნაწილად აქცია. იგი ხშირად იმდენად მოულოდნელად, ფრაგმენტულად, მხოლოდ მინიშნებით აბამს ძაფებს ანტიკურობასთან, რომ ორივეს ერთად გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ჩავწვდეთ პოეტის მხატვრული სახეების მთლიანობას, მისი სათქმელის არსს.

სეფერისის პოეზია განსაკუთრებით საინტერესო და მრავლისმთქმელია მკითხველისათვის, რომელიც კარგად იცნობს ანტიკურ ლიტერატურას და კულტურას – ამ შემთხვევაში მისთვის ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა მაშინაც კი, როდესაც ამგვარ მკითხველთან არ გვაქვს საქმე, ეს მას არ უშლის ხელს, დატკბეს სეფერისის პოეზიით. სეფერისს სურს მოახდინოს ადამიანებზე გავლენა განცდილის სიძლიერით. ამიტომ არის ესოდენ ძნელი, მის პოეზიაში მივაკვლიოთ ისეთ პასაჟებს, სადაც პოეტი ცდილობს მკითხველზე ზემოქმედებას დიდაქტიკით, ამა თუ იმ იდეის თავისებური ინტერპრეტაციის თავს მოხვევით, რომელიც მსოფლმხვედველობის წინ წამოწევით. იგი მკითხველს მხოლოდ სთავაზობს თავისი ხედვის, განცდების, შეგრძნებების პოეტურ რეალიზაციას, ხოლო დასკვნების გაკეთებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს თავად მას უტოვებს. მისი პოეზია, ბერძნული ტრაგედიის მსგავსად, კათარზისის გრძნობას ინვესს მკითხველში, რადგან მას გადმოცემულ მოვლენათა ტრაგიზმს განაცდევინებს.

სამეცნიერო ლიტერატურა:

- შამანიდი ს., *კლასიკური ტრადიცია ახალ ბერძნულ მწერლობაში და გ. სეფერისი*, თბილისი, 1999;
- Αργυρίου Α., *Δεκαεπτά κείμενα για τον Γ. Σεφέρη*, Καστανιώτης, Αθήνα, 1986;
- Βαγενάς Ν., *Ο ποιητής κι ο χορευτής. Μια εξέταση της ποιητικής και της ποίησης του Σεφέρη*, Κέδρος, Αθήνα, 1979;

- Γιατρομανωλάκης Γ., „Ο Βασιλιάς της Ασίνης“. Η ανασκαφή ενός ποιήματος, Στιγμή, Αθήνα, 1986;
- Δημητρακόπουλος Φ., Σεφέρης, Κύπρος. Επιστολογραφικά και άλλα, Καστανιώτης, Αθήνα, 2000;
- Καραντώνης Α., Ο ποιητής Γιώργος Σεφέρης, Παπαδήμας, Αθήνα, 1976;
- Κοκόλης Ξ.Α., Σεφερικά μιας εικοσαετίας, Παρατηρητής, Θεσσαλονίκη, 1993;
- Κοκόλης Ξ.Α., Ο μεταφραστής Σεφέρης. Αρνητική κριτική, Καστανιώτης, Αθήνα, 2001;
- Keeley E., Συζήτηση με το Γιώργο Σεφέρη, μτφρ. Α. Κάσδαγλη, Άγρια, Αθήνα, 1986;
- Λαμπρίδης Μ., Το ηθικό πρόβλημα στην ποίηση του Σεφέρη [στον τόμο „Τρία Μελετήματα“], Μανδραγόρας, Αθήνα, 1998;
- Μαδιάς Μ.Π., Ο προβληματισμός του Σεφέρη, Τροχαλία – Πρόχορος Α.Ε., Αθήνα 1999;
- Μάνος Α., Το αγγελικό και μαύρο φως επιβάθρα στην ποιητική σοφία του Γιώργου Σεφέρη, Τυπωθήτω-Δαρδανός, Αθήνα, 2000;
- Μαρωνίτης, Δ.Ν., Η ποίηση του Γιώργου Σεφέρη. Μελέτες και μαθήματα, Ερμής, Αθήνα 1989;
- Μπήτον Ρ., Γιώργος Σεφέρης. Περιμένοντας τον Άγγελο, μτφρ.: Μ. Προβατά, Ωκεανίδα, Αθήνα 2003;
- Ορφανίδης Ν., Η πολιτική διάσταση της ποίησης του Γιώργου Σεφέρη, Αστήρα, Αθήνα, 1985;
- Πετσαλίδης Μ., Οι σκοτεινές πλευρές του Γιώργου Σεφέρη, Αρχιπέλαγος, Αθήνα, 2000;
- Πιερής Μ., Γιώργος Σεφέρης. Φιλολογικές και ερμηνευτικές προσεγγίσεις, Εκδόσεις Πατάκη, Αθήνα 1997;
- Σαββίδης Γ. Π., Μια περιδιάβαση: σχόλια στο „Κύπρον, ού μ' εθέσπισεν...“ του Γιώργου Σεφέρη, Αθήνα, 1962;
- Σαββίδης Γ. Π., Οι αρχαιολογικές περιδιαβάσεις του ποιητή Γιώργου Σεφέρη, Πολιτιστικό Ίδρυμα Τραπεζής Κύπρου, Λευκωσία, 1992;
- Σαββίδης Γ.Π. , Λενάκου Ζ. (επιμέλεια), Για τον Σεφέρη. Τιμητικό αφιέρωμα στα τριάντα χρόνια της «Στροφής», Αθήνα ,1961;
- Σινόπουλος Τ., Τέσσερα μελετήματα για τον Σεφέρη, Κέδρος, Αθήνα, 1984;
- [Συλλογικό] Γιώργος Σεφέρης : φιλολογικές και ερμηνευτικές προσεγγίσεις. 2ο Συμπόσιο Γιώργου Σεφέρη, Πανεπιστήμιο Κύπρου, Αγία Νάπα 16-18 Μαρτίου 1996, Εκδόσεις Πατάκη, Αθήνα, 1997;
- [Συλλογικό] Ο Σεφέρης στην Πύλη της Αμμοχώστου / επτά ομιλίες, πρόλογος Σπύρου Κυπριανού, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπεζής, Αθήνα, 1987;
- [Συλλογικό] Γιώργος Σεφέρης. Εκατό χρόνια από τη γέννησή του, Ερμής, Αθήνα, 2000;
- Τσουτσουρα Μ., Η ευρωπαϊκή συνείδηση του Γιώργου Σεφέρη Ι. Η συμβολή της μετάφρασης στην ερμηνεία του σεφερικού στοχασμού: Τα χρόνια του μεσοπολέμου: Γαλλικές επιρροές και ελληνική πρωτοτυπία, Έψιλον, Αθήνα, 1998;
- Vitti M., Φθορά και λόγος. Εισαγωγή στην ποίηση του Γιώργου Σεφέρη, Εστία, Αθήνα, 1989.

ნანარმოებები:

- გიჟმაჟი ბრონეული, ახალბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო იზა ორჯონიკიძემ, თბილისი, 1999;
- სეფერისი გ., *შემობრუნება*, ნობელის პრემიის ლაურეატები, თარგმნა მარიამ ნიკლაურმა, ახალბერძნულიდან ბნკარედული თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები მათა კაკაშვილისა, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი 2015.
- Σεφέρης Γ., *Ποιήματα*, Ίκαρος, Αθήνα, 1998;
- Σεφέρης Γ., *Δοκίμés*, τ.1-2, Ίκαρος, Αθήνα, 1991.